

0313 ფსიქოლოგია PSYCHOLOGY**ოჯახური აღზრდის სტილის გავლენა მოზარდის ფსიქოსოციალურ ადაპტაციაზე****ნინო მემველიანი****ივ. ჯავახიშვილის სახელობის****თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი****E-mail: nino.meshveliani947@pes.tsu.edu.ge****სოფიო თევდორაძე****ივ. ჯავახიშვილის სახელობის****თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი****E-mail: sopio.tevdoradze@tsu.ge****რეზიუმე**

მოზარდობის პერიოდში ფსიქოსოციალური ადაპტაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ემოციური კეთილდღეობის, ისე ქცევითი სტაბილურობის ჩამოყალიბებაში. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც შეიძლება ზეგავლენას ახდენდეს ამ პროცესზე, განიხილება მშობლის აღზრდის სტილი. წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება იმის დადგენას, თუ რამდენად უკავშირდება მშობლის აღზრდის სტილი მოზარდების ფსიქოსოციალური ადაპტაციის ინდიკატორებს: თვითშეფასებას, შფოთვის (პიროვნული და სიტუაციური) დონეებს, სოციომეტრიულ სტატუსსა და კოპინგის სტრატეგიებს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ თვითშეფასება, შფოთვა და სოციომეტრიული სტატუსი მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა აღზრდის სტილების მიხედვით. განსხვავებები გამოვლინდა მხოლოდ კოპინგის სტრატეგიებში: ავტორიტეტული სტილით აღზრდილი მოზარდები უფრო მეტად მიმართავდნენ პრობლემაზე ორიენტირებულ მიდგომებს, ხოლო ნებისდამრთველი სტილი ასოცირდებოდა ემოციაზე ორიენტირებულ სტრატეგიებთან. დაფიქსირდა ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი პიროვნულ და სიტუაციურ შფოთვას შორის ($r = .427, p < .001$). ეს შედეგი მიუთითებს, რომ ადამიანი, რომელსაც ახასიათებს ხანგრძლივი და სტაბილური შფოთვა, უფრო მეტად არის მიდრეკილი კონკრეტულ სიტუაციებში დროებითი განგაშისა და დამაბულობის განცდისკენ. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მშობლის აღზრდის სტილი, როგორც მოზარდის ფსიქოსოციალური ფუნქციონირების ერთ-ერთი შესაძლო განმსაზღვრელი, უშუალოდ აისახება მხოლოდ კოპინგის სტრატეგიებზე. სხვა ინდიკატორები უფრო მრავალფაქტორულ გავლენას ექვემდებარება, მათ შორის თანატოლთა ზეგავლენას, სკოლის სოციალურ კლიმატს, ასაკობრივ-ემოციურ თავისებურებებსა და კულტურულ კონტექსტს.

საკვანძო სიტყვები: მოზარდი, ფსიქოსოციალური ადაპტაცია, აღზრდის სტილი, თვითშეფასება, შფოთვა, კოპინგ სტრატეგიები, სოციომეტრია.

შესავალი

ადამიანის განვითარების ყოველი ეტაპი მნიშვნელოვანია პიროვნული ფორმირების პროცესში, მაგრამ მოზარდობა ხშირად აღიქმება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე, გარდამავალი პერიოდი, რომელიც ერთდროულად მოიცავს ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ცვლილებებს (Steinberg, 2005). მოზარდის ცხოვრებაში პარალელურად მიმდინარეობს ისეთი პროცესები, როგორიცაა თვითიდენტობის ჩამოყალიბება, ემოციური რეგულაციის სწავლა და სოციალური ადაპტაცია (Erikson, 1968). ამ ასაკში გამწვავებულია იდენტობის ძიება, ხოლო გარემოსთან ადაპტაციის მოთხოვნა, რიგ შემთხვევებში, ზრდის სტრესსა და ემოციურ რეაქციებს. აქედან გამომდინარე, მოზარდის ფსიქოსოციალური ადაპტაცია გვევლინება ერთ-ერთ ცენტრალურ გამოწვევად, ხოლო ამ თემის კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოჯახურ მიკროკონტექსტს, აღზრდის სტილსა და მშობლის ემოციურ ჩართულობას (Bronfenbrenner, 1979; Baumrind, 1991).

ამ პროცესებში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახურ გარემოს, კონკრეტულად კი აღზრდის სტილს, რომელსაც მშობლები იყენებენ ბავშვთან ურთიერთობისას. მშობლობის სტილი წარმოადგენს იმას, თუ როგორ ურთიერთობს მშობელი შვილთან, რა საზღვრებს აწესებს, როგორ გამოხატავს მხარდაჭერას ან მკაცრ კონტროლს და რეაგირებს ბავშვების ქცევაზე (Baumrind, 1966; Darling & Steinberg, 1993). აღზრდის სტილი არამხოლოდ განსაზღვრავს ბავშვის ქცევით მოდელსა და ემოციურ რეაქციებს, არამედ გავლენას ახდენს მის მომავალ სოციალურ ადაპტაციაზე, ემოციურ სტაბილურობასა და თვითშეფასებაზე (Grusec & Davidov, 2010).

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე კვლევები ცხადყოფს, რომ მშობლების მიერ არჩეული აღზრდის სტილი პირდაპირ კავშირშია მოზარდების ფსიქოსოციალურ ადაპტაციასთან (Maccoby & Martin, 1983; Morris et al., 2007). დემოკრატიული სტილი, რომელიც აერთიანებს მკაფიო წესებსა და ემოციურ მხარდაჭერას, ეხმარება მოზარდს თვითდამკვიდრებასა და მაღალი თვითშეფასების ჩამოყალიბებაში. ხოლო ავტორიტარული ან ლიბერალური სტილები ხშირად უკავშირდება დეზადაპტაციურ შედეგებს, როგორცაა შფოთვა ან სოციალური გაუცხოება.

ფსიქოსოციალური ადაპტაცია არ წარმოადგენს ერთმნიშვნელოვან ან მარტივად განსასაზღვრ კონსტრუქტს. პირიქით, ის არის კომპლექსური, მრავალდონიანი და ურთიერთდამოკიდებული სისტემა, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- **თვითშეფასება** - წარმოადგენს შინაგან, იდენტობასთან მჭიდროდ დაკავშირებულ კომპონენტს. მისი დონე გავლენას ახდენს მოზარდის სოციალურ ქცევაზე, ემოციურ სტაბილურობასა და სტრესისადმი გამძლეობაზე.
- **სოციომეტრიული სტატუსი** - განსაზღვრავს მოზარდის პოზიციას თანატოლთა ჯგუფში და ასახავს, რამდენად მიღებულია ის სოციალურ გარემოში. ეს კომპონენტი არამხოლოდ სოციალური ჩართულობის ინდიკატორია, არამედ ემოციური კეთილდღეობის განმსაზღვრელიც.
- **შფოთვა** - ემოციური რეაქცია, რომელიც ასახავს მოზარდის პასუხს როგორც შიდა, ისე გარე მოლოდინებზე. მაღალი შფოთვა მოქმედებს თვითშეფასებასა და სოციალურ ინტერაქციაზე და ხშირად მიუთითებს ადაპტაციის სირთულეებზე.
- **კოპინგ სტრატეგიები** - მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც მოზარდი ცდილობს, გაუმკლავდეს სტრესს. მათი ადაპტურობა ან არაადაპტურობა განსაზღვრავს, რამდენად მდგრადია მოზარდი გარემოსთან ინტერაქციაში.

მიუხედავად იმისა, რომ მშობლის აღზრდის სტილი ხშირად განიხილება მოზარდის ფსიქოსოციალური ფუნქციონირების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად (Baumrind, 1991; Maccoby & Martin, 1983), თანამედროვე კვლევების ნაწილი მიუთითებს, რომ ეს გავლენა არ არის უნივერსალური და ყოველთვის არ ვლინდება ცალსახად და პირდაპირ. აღზრდის სტილის გავლენა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს კულტურის, ასაკის, ოჯახური სტრუქტურის ან თანატოლური გარემოს კონტექსტში (Essau, 2008; Delhay et al., 2013).

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია სწორედ იმაზე, თუ როგორ ურთიერთქმედებს მშობლის აღზრდის სტილი მოზარდის ფსიქოსოციალურ ადაპტაციასთან.

კვლევა

ჩატარდა თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. შერჩევა განხორციელდა ხელმისაწვდომობის პრინციპით, არაალბათური მეთოდით. საბოლოო ნიმუში მოიცავს 151 რესპონდენტს: VII და IX კლასის 76 მოზარდს (36 გოგო და 40 ბიჭი; საშუალო ასაკი = 13.8 წელი) და 75 მშობელს (საშუალო ასაკი = 39.4 წელი). ერთმა მშობელმა კითხვარი ორჯერ შეავსო ვინაიდან მისმა ორმა შვილმა მიიღო მონაწილეობა კვლევაში. კვლევის ინსტრუმენტები შეირჩა საერთაშორისო აღიარებულ მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით. მშობლის აღზრდის სტილი განისაზღვრა ჰოპკინსის (1983) აღზრდის სტილის კითხვარის მიხედვით, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს ავტორიტეტული, ნებისდამრთველი და ავტორიტარული აღზრდის ტიპები. მოზარდების თვითშეფასება შეფასდა მ. როზენბერგის (1965) თვითშეფასების სკალით, ხოლო შფოთვის სიტუაციური და პიროვნული დონეები სპილბერგერის შფოთვის დიფერენცირებული სკალის გამოყენებით. კოპინგის სტრატეგიების შესაფასებლად კი გამოყენებულ იქნა ლაზარუსის და ფოლკმანის (1984) კოპინგ სტრატეგიების კითხვარი, ხოლო თანატოლური სტატუსი განისაზღვრა მორენოს (1951) სოციომეტრიული მეთოდით. აღნიშნული ინსტრუმენტების ერთობლივი გამოყენება უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალური, ისე სოციალურ-ქცევითი ადაპტაციის კომპლექსურ შეფასებას. მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამით. გამოყენებულ იქნა აღწერითი სტატისტიკა (M, SD), ჯგუფთაშორისი შედარებები ANOVA-ს გამოყენებით და ასოციაციების დასადგენად Pearson-ის კორელაცია.

შედეგები

კვლევის აღწერითმა ანალიზმა აჩვენა, რომ მოზარდების ფსიქო-სოციალური ადაპტაციის ინდიკატორები, როგორცაა თვითშეფასება, სიტუაციური და პიროვნული შფოთვა და სოციომეტრიული

სტატუსი, არსებითად არ განსხვავდებოდა მშობლის აღზრდის სტილის ჯგუფებს შორის. ეს შედეგი მიუთითებს, რომ აღნიშნული ცვლადები შესაძლოა მეტად დამოკიდებული იყოს სხვა სოციალურ კონტექსტზე (თანატოლები, სკოლა, კულტურული გარემო), ვიდრე უშუალოდ აღზრდის სტილზე. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კოპინგ სტრატეგიების ანალიზი. ავტორიტეტული სტილის მქონე ოჯახებში გაზრდილი მოზარდები უფრო ხშირად მიმართავდნენ პრობლემაზე ორიენტირებულ კოპინგს, რაც გულისხმობს სტრესული სიტუაციის გააზრებასა და აქტიურ გადაწყვეტას. საპირისპიროდ, ნებისდამრთველ სტილთან ასოცირებული მოზარდები ნაკლებად იყენებდნენ ამგვარ სტრატეგიებს და უფრო მეტად მიმართავდნენ ემოციაზე ორიენტირებულ, ნაკლებად ადაპტურ ფორმებს.

კორელაციურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ემოციაზე ორიენტირებული კოპინგი პირდაპირ იყო დაკავშირებული მაღალი შფოთვის მაჩვენებლებთან, მაშინ როცა პრობლემაზე ორიენტირებული სტრატეგიები – შედარებით დაბალ შფოთვასთან. აღნიშნული კავშირი ადასტურებს სტრესთან გამკლავების მექანიზმების გადამწყვეტ როლს მოზარდის ემოციურ კეთილდღეობასა და ფსიქო-სოციალურ ფუნქციონირებაში.

მიღებული შედეგები ნაწილობრივ განსხვავდება არსებული თეორიული მოლოდინებისგან, რომლის მიხედვითაც მშობლის აღზრდის სხვადასხვა სტილი უნდა ასოცირდებოდეს თვითშეფასებისა და შფოთვის გარკვეულ დონესთან. ჩვენს შემთხვევაში, აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით განსხვავება მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა. ამ შედეგს რამდენიმე განმარტებელი ფაქტორი შეიძლება ჰქონდეს:

კულტურული ფაქტორი - ქართულ კონტექსტში მკაცრი აღზრდა ხშირად ზრუნვის გამოხატულებად აღიქმება და ყოველთვის არ იწვევს ნეგატიურ დამოკიდებულებას, როგორც დასავლურ მოდელებში.

თანატოლთა გავლენა - მოზარდობის პერიოდში თანატოლების როლი ძლიერდება და ზოგჯერ ასუსტებს ან ანეიტრალებს მშობლის სტილის ეფექტს.

ასაკობრივი თავისებურებები - მოზარდობის გვიან ეტაპზე (15–17 წელი) თანატოლთა გარემო და სოციალური იდენტობის ძიება უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რის გამოც მშობლის სტილის გავლენა ნაწილობრივ ქვეითდება.

ამავე დროს, კოპინგის სტრატეგიები და შფოთვა აღმოჩნდა მოზარდის ფსიქოსოციალური ადაპტაციის ურთიერთდაკავშირებული კომპონენტები და უფრო მგრძნობიარე ცვლადები აღზრდის სტილის მიმართ. ეს მიუთითებს, იმაზე, რომ ოჯახში აღზრდის სტილი განსაზღვრავს არა იმდენად თვითშეფასების ან სტატუსის დონეს, რამდენადაც სტრესთან გამკლავების მექანიზმების ხარისხს.

დასკვნა

კვლევის შედეგად ვასკვნიტ, რომ ოჯახური აღზრდის სტილი პირდაპირ არ უკავშირდება მოზარდის თვითშეფასებას, შფოთვასა და სოციომეტრიულ სტატუსს, თუმცა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კოპინგ სტრატეგიებზე, რომლებიც, თავის მხრივ, პირდაპირ კორელაციაშია შფოთვის დონესთან. ავტორიტეტული აღზრდის სტილი ხელს უწყობს პრობლემაზე ორიენტირებულ კოპინგის ჩამოყალიბებას, რაც ასოცირდება შედარებით დაბალ შფოთვასთან და ადაპტურ სოციალურ ფუნქციონირებასთან.

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ მოზარდის ფსიქოსოციალური ადაპტაციის გასაძლიერებლად აუცილებელია ისეთი საგანმანათლებლო და ოჯახური ინტერვენციების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს ეფექტური კოპინგის სტრატეგიების ფორმირებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლის ემოციური ჩართულობისა და ავტორიტეტული სტილის ხელშეწყობა, რადგან სწორედ ამ პირობებში ხდება მოზარდის სტრესთან გამკლავების უნარების ოპტიმალური განვითარება.

ლიტერატურა

1. Baumrind D. (1966). Effects of authoritative parental control on child behavior. *Child Development*, 37(4), 887–907.
2. Baumrind, D. (1991). Parenting styles and adolescent development. In J. Brooks-Gunn, R. Lerner, & A. C. Petersen (Eds.), *The encyclopedia of adolescence* (pp. 746–758). Garland.
3. Bronfenbrenner, U. (1979). *The ecology of human development: Experiments by nature and design*. Harvard University Press.
4. Darling, N., & Steinberg, L. (1993). Parenting style as context: An integrative model. *Psychological Bulletin*, 113(3), 487–496.

5. Delhay, M., Beyers, W., Klimstra, T. A., Linkowski, P., & Goossens, L. (2013). The role of parenting in adolescent identity: A longitudinal study. *Journal of Adolescence*, 36(5), 1189–1198.
6. Erikson, E. H. (1968). *Identity: Youth and crisis*. W. W. Norton.
7. Essau, C. A. (2008). The impact of parenting styles on adolescent functioning. In C. A. Essau (Ed.), *Adolescent addiction: Epidemiology, assessment, and treatment* (pp. 97–113). Academic Press.
8. Grusec, J. E., & Davidov, M. (2010). Integrating different perspectives on socialization theory and research: A domain-specific approach. *Child Development*, 81(3), 687–709.
9. Lazarus, R. S., & Folkman, S. (1984). *Stress, appraisal, and coping*. Springer.
10. Maccoby, E. E., & Martin, J. A. (1983). Socialization in the context of the family: Parent-child interaction. In E. M. Hetherington (Ed.), *Handbook of child psychology: Vol. 4. Socialization, personality, and social development* (pp. 1–101). Wiley.
11. Moreno, J. L. (1951). *Sociometry, experimental method and the science of society: An approach to a new political orientation*. Beacon House.
12. Morris, A. S., Silk, J. S., Steinberg, L., Myers, S. S., & Robinson, L. R. (2007). The role of the family context in the development of emotion regulation. *Social Development*, 16(2), 361–388.
13. Rosenberg, M. (1965). *Society and the adolescent self-image*. Princeton University Press.
14. Spielberger, C. D. (1983). *Manual for the State-Trait Anxiety Inventory (STAI)*. Consulting Psychologists Press.
15. Steinberg L (2005). Cognitive and affective development in adolescence. *Trends in Cognitive Sciences*, 9(2), 69-74.

The Impact of Family Parenting Styles on Adolescents' Psychosocial Adaptation

Nino Meshveliani, Sofio Tevdoradze

Abstract

During adolescence, psychosocial adaptation plays an important role in the formation of both emotional well-being and behavioral stability. One of the significant factors that may influence this process is parenting style. The present paper is dedicated to determining whether parenting style is related to the indicators of adolescents' psychosocial adaptation: self-esteem, levels of anxiety (trait and state), sociometric status, and coping strategies. The results of research showed, that self-esteem, anxiety, and sociometric status did not significantly differ according to parenting style. However, differences were found in coping strategies: adolescents raised with an authoritative style were more likely to apply problem-focused coping, whereas permissive style was associated with emotion-focused coping. Several statistically significant correlations were also revealed, among them the relation between trait and state anxiety ($r = .427$, $p < .001$). This result indicates that a stable and long-term tendency toward anxiety is associated with temporary situational anxiety. In conclusion, the authoritative style supports adaptive coping through problem-focused strategies, while the permissive style is linked with emotion-focused coping. Thus, although parenting style is theoretically considered one of the determinants of adolescents' psychosocial functioning, the study showed its statistically significant influence only on coping strategies, but not on self-esteem, anxiety, or sociometric status. This does not mean that parenting style has no importance; rather, it suggests that other decisive factors are also involved in shaping this influence, such as peer pressure, the social climate of the school, developmental and emotional context of the adolescent, and culturally mediated perceptual schemes.

Keywords: adolescent, psychosocial adaptation, parenting style, self-esteem, anxiety, coping strategies, sociometry.